<u>სტუდენტთა 83-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გამოყენებითი გეოლოგიის სექცია</u>

სტუ-ს სტუდენტთა 83-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის განრიგის შესაბამისად, **გამოყენებითი გეოლოგიის სექციამ 9 ივნისს იმუშავა.** კონფერენცია სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე ჩატარდა. მონაწილე სტუდენტების, ხელმძღვანელების და კომისიის წევრების გარდა, სექციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა.

სექციაზე მუშაობდა კონფერენციის კონკურსის შედეგების შემაჯამებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე <u>ნოდარ ფოფორაძე</u>

თავმჯდომარის მოადგილე <u>ბეჟან კახაძე</u>

კომისიის წევრი <u>ბერდი ზაუტაშვილი</u>

კომისიის წევრი <u>ირინე ფარადაშვილი</u>

კომისიის წევრი <u>მანანა ჯაფარიძე</u>

კომისიის მდივანი <u>ნანა ქიტიაშვილი</u>

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა 8 მოხსენება, მათგან 6 ბაკალავრიატის სწავლების სტუდენტის, 1 - მაგისტრანტის და 1 - დოქტორანტის. მონაწილეებმა მოხსენებები საპრეზენტაციო მასალების თანხლებით წარმოადგინეს, შემდეგ კი კომისიის წევრებისა და დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს უპასუხეს.

ბაკალავრიატი

1. მომხსენებლები: **ქრისტინა კვირკველია, მარიამ მგალობლიშვილი - II კურსი**
   ხელმძღვანელები: **ნანა ზაუტაშვილი, ხათუნა ავალიანი**
   მოხსენების დასახელება: **„კოლხეთის არტეზიული აუზის ჰიდროგეოლოგიური პირობები და ჰიდროგეოქიმიური ზონალურობა";**

2. მომხსენებელი: **გიორგი ასლანიშვილი – III კურსი**
   ხელმძღვანელი: **მანანა ჯაფარიძე**
   მოხსენების დასახელება: **„ხვამლი-მექვენის ბარიტისშემცველი ველის მადნეული სხეულებისა და მადნიანი სვეტების ლოკალიზაციის სტრუქტურული თავისებურებები";**

3. მომხსენებლები: **ნინო ნოზაძე, რუსუდან მეტრეველი - III კურსი**
   ხელმძღვანელები: **ნოდარ ფოფორაძე, ოლღა სესკურია**
   მოხსენების დასახელება: **"ფახრალოს ტუფის საბადო "**;

4. მომხსენებლები: **რუსუდან მეტრეველი, ნინო ნოზაძე - III კურსი**
   ხელმძღვანელი: **დავით ბლუაშვილი**
   მოხსენების დასახელება: "**ლუხუნის დარიშხანის საბადოს პრობლემური საკითხები** ";

5. მომხსენებელი: **ნიკა მომცელიძე - III კურსი**
   ხელმძღვანელი: **უჩა ზვიადაძე**
   მოხსენების დასახელება: "**ქ. თბილისის წყალმომარაგების ერთ-ერთი ობიექტის მუხრანის წყალამღების ჰიდროდინამიკური თავისებურებები**";

6. მომხსენებელი: **ირაკლი შანავა - III კურსი**
   ხელმძღვანელები: **მარინე მარდაშოვა, თინა ძაძამია**
   მოხსენების დასახელება: "**ქ. თბილისის სასმელი წყალსადენის მილების მდგომარეობა კოროზიის თვალსაზრისით**";

მაგისტრატურა

1. მომხსენებელი: **დავით თედორაძე - I კურსი**
   ხელმძღვანელი: **დავით როგავა**
   მოხსენების დასახელება: **"მდინარე თეთრი არაგვის ღვარცოფული ნაკადების დახასიათება";**

დოქტორანტურა

1. მომხსენებელი: **ქეთი ბენაშვილი - I კურსი**
   ხელმძღვანელი: **დავით ბლუაშვილი**
   მოხსენების დასახელება: **"ზემო სვანეთის ჰერცინულ წარმონაქმნებთან დაკავშირებული ოქროს მადანგამოვლინებების გენეზისი";**

მოხსენებები ოთხი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა:

- ნაშრომის აქტუალურობა;
- ნაშრომში დასმული საკითხის ავტორისეული გადაწყვეტა და დასკვნების დასაბუთება;
- დისკუსია ჟიურის წევრებთან;
- მომხსენებლის გადმოცემის უნარი.

კომისიამ მონაწილეებს მოუსმინა და ერთმანეთის დამოუკიდებლად, სწავლების შესაბამისი საფეხურების მიხედვით გამოავლინა კონფერენციის **<u>გამოყენებითი გეოლოგიის სექციის გამარჯვებული სტუდენტები:</u>**

<u>ბაკალავრიატი</u>

I ადგილი - ნიკა მომცელიძე

II ადგილი - ნინო ნოზაძე, რუსუდან მეტრეველი

III ადგილი - ირაკლი შანავა

<u>მაგისტრატურა</u>

I ადგილი - დავით თედორაძე

<u>დოქტორანტურა</u>

I ადგილი - ქეთი ბენაშვილი

კონფერენციაში მონაწილე სტუდენტები

დოქტორანტი - ქეთი ბენაშვილი

მაგისტრანტი - დავით თედორაძე

გიორგი ასლანიშვილი

ნინო ნოზაძე, რუსუდან მეტრეველი

ირაკლი შანავა

ნიკა მომცელიძე

ქრისტინა კვირკველია

რუსუდან მეტრეველი, ნინო ნოზაძე

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი ულოცავს სტუდენტებს კონფერენციაში მონაწილეობას, გამარჯვებას და უსურვებს მათ შემდგომ წარმატებებს.